საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 17 იანვარი, 2024 წელი

დრო: 17:00 - 19:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ეკა ციმაკურიძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, დემოკრატიის ინდექსი საქართველო
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი
5. ზვიად ელიზიანი – მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
6. რეზო გეთიაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი
7. ნუგზარ კოხრეიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
8. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
9. მაკა ჯახუა - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა
10. ირინა ფუტკარაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი

განსახილველი საკითხები:

- პლატფორმის თანათავმჯდომარის, ბ-ნ უჩა ნანუაშვილის წერილი
- გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადების განხილვა
- სხვა საორგანიზაციო საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა პლატფორმის თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციები.
საბჭოს შეხვედრაზე, პირველ საკითხად იმსჯელეს გაცევრიანების მსურველი ორგანიზაციების შესახებ. სამდივნომ, საკოორდინაციო საბჭოს წევრებს, კოალიციის წევრობის მსურველი ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია მიაწოდა განსახილველად. კოალიციის წევრობის სურვილი გამოხატა 2-მა ორგანიზაციამ. მათ მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაციების გაცნობის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ორგანიზაციას „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ არ ჰყავდა მითითებული 2 რეკომენდატორი. საკოორდიანციო საბჭოს წევრებმა, ირინა ფუტკარაძემ და ნუკრი ყველაშვილმა, რეკომენდაცია გაუწიეს ორგანიზაციას, გამხდარიყო პლატფორმის წევრი.
საკოორდინაციო საბჭომ მხარდი დაუჭირა ორივე ორგანიზაციის გაწევრიანებას.
ახალი წევრები:

1. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
2. საქართველოს სასამართლოს გუშაგი

სამდივნო უზრუნველყოფს მათთან შესაბამის კორესპოდენციას და ასევე დაამატებს ახალი წევრების მონაცემებს ყველა სიასა თუ საკომუნიკაციო ქსელებში.

თანათავმჯდომარის, ბ-ნ უჩა ნანუაშვილის წერილი.
საბჭომ იმსჯელა ერთ-ერთი თანათავმჯდომარის მიერ გამოგზავნილ წერილზე, რომელსაც ხელს აწერს პლატფორმის წევრი 10 ორგანიზაცია. საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა შეიმუშავეს საპასუხო წერილი, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივად არგუმენტირებულ პასუხს დასმულ საკითხებთან მიმართებაში. საპასუხო წერილის სამუშო ვერსია შეხვედრაზე წარმოადგინა პირველი ჯგუფის კოორდინატორმა, ეკა ციმაკურიძემ. საბჭომ დეტალურად იმსჯელა აღნიშნულ წერილზე და მასში მოყვანილ არგუმენტებზე. საკოორდინაციო საბჭო საჭიროდ მიიჩნევს გააკეთოს განმარტებები თითოეულ საკითზე და ხუთივე მოთხოვნასთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. *საქართველოს ეროვნული პლატფორმის საერთო კრების ჩატარების გადავადება და შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადის*

გახანგრძლივება მოხდა წესდების დარღვევით.

ფორუმის მიერ ექვსი ქვეყნის ეროვნული პლატფორმების მიერ მმართველ რგოლებში წარმომადგენელთა/ დელეგატების არჩევის გადავადება გამოიწვეული იყო ორი მიზეზით: ა. ევროკავშირის მიერ თავად ფორუმის სტრუქტურაში დაგეგმილი ცვლილებებით, ასევე თავად აღმოსავლეთ პარტნირობის ქვეყნების სტატუსის მოსალოდნელი ცვლილებებით, რაც გავლენას ახდენდა თავად აღმოსავლეთ პარტნიორობის არქიტექტურაზე და ასევე რასაც შესაძლოა შეეცვალა დელეგატების არჩევის წესიც (აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა ფორუმის მმართველი კომიტეტის მიერ წერილობით); ბ. აღმოსავლეთ პარტნიორობის რამდენიმე ქვეყანაში არსებული კრიზისული ვითარებები, რაც დაიწყო პანდემიით და შემდეგ გაგრძელდა წევრ უკრაინაში ომით და სხვასხვა საგანგებო ვითარებებით ბელორუსში, მოლდოვაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში (აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა ფორუმის მმართველი კომიტეტის მიერ ზეპირად). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორუმი ამ დროისთვის უკვე გადასული იყო საარჩევნო ვადების ორწლიან ციკლზე , ხოლო ეროვნულ პლატფორმებში იგივე პრინციპზე გადასვლა, ზემოთდასახელებული პრობლემების გამო, ზოგან, მათ შორის საქართველოში არ განხორციელებულა და შესახბამისად , ფორმალურად რჩებოდა ძველი მოდელი - არჩევნების ერთწლიანი ციკლი.

ამ პერიოდში საკოორდინაციო საბჭომ ორჯერ იმსჯელა საერთო კრების მოწვევის საკითხზე (რაც დასტურდება იმ ოქმებითაც (2022 წლის 13 აპრილის და 2023 წლის 25 აპრილის), რომლებიც თავად წერილის ავტორებს მოჰყავთ არგუმენტებად, რომ საკითხი შეტანილი იყო დღის წესრიგებში) და ბოლოს 2023 წლის აპრილში გამართულ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დაიგეგმა, რომ საერთო კრება 2023 წლის დეკემბერში გაიმართებოდა.

2. *წერილში აღნიშნულია, რომ საკოორდინაციო საბჭოს წევრად სამი პირი არჩეულია ზედიზედ მესამე ვადით, რაც არღვევს წესდებას.*

წლებია საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში დამკვიდრებულია პრაქტიკა, როცა ორგანიზაციები ზედიზედ ორზე მეტი ვადით არიან წარმოდგენილი მმართველ რგოლებში. მაგალითად, თავად წერილზე ერთ-ერთი ხელმომწერი პლატფორმის წევრი ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ 2019, 2020 და 2021 წლებში ზედიზედ სამჯერ იყო წარმოდგენილი საკოორდინაციო საბჭოში. ეს ნიშნავს, რომ წესდების საპირისპირო პრაქტიკა დამკვიდრებულია და ეს არ არის გამოწვეული რომელიმე წევრი ორგანიზაციის მიმართ შერჩევითი მიდგომით, არამედ, სავარაუდოდ წესდება არ მოდიოდა შესაბამისობაში პლატფორმის პრაქტიკულ საჭიროებებთან.

3. *წერილში აღნიშნულია, რომ კანდიდატების ნომინირების პროცესი არ იყო ორგანიზებული.*

წესდების 7.5. მუხლი ადგენს საკოორდინაციო საბჭოს წევრებად ასარჩევი კანდიდატების დასახელების ორ ფორმას: „საკოორდინაციო საბჭოს წევრებად ასარჩევ კანდიდატურებს საერთო კრებას სთავაზობს თითოეული სამუშაო ჯგუფი. საერთო კრებაზე კენჭი ეყრება კრებაზე დასახელებულ და სამუშაო ჯგუფების მიერ წამოყენებულ ყველა კანდიდატურას.“ სხვისი ან საკუთარი კანდიდატურის წამოყენების უფლების შეზღუდვა წინააღმდეგობაში მოვიდოდა მოქმედ წესდებასთან, უხეშად შეზღუდავდა წევრთა უფლებებს და ასეთი უფლებამოსილება 19 დეკემბრის საერთო კრებაზე არავის გააჩნდა.

4. *„საკოორდინაციო საბჭომ დაიწყოს მუშაობა წესდების ფუნდამენტურ ცვლილებებზე და სამი თვის ვადაში წარუდგინოს ცვლილებების პროექტი პლატფორმის წევრებს.“*

საკოორდინაციო საბჭო შეუდგა საერთო კრებაზე მიღწეული შეთანხმების აღსრულებას: პლატფორმაში შეიქმნება სამუშაო ჯგუფი წესდების ხარვეზების გამოსავლენად; უზრუნველყოფილი იქნება ჯგუფში პლატფორმის სამუშაო ჯგუფების წარმომადგენელთა მონაწილეობა.

5. *საკოორდინაციო საბჭომ აიღოს ეროვნული პლატფორმის იურიდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება, რომელიც თავად განკარგავს პლატფორმისთვის გამოყოფილ დაფინანსებას და თანხების მართვა აღარ განხორციელდება სხვა წევრი ორგანიზაციის მიერ.*

პლატფორმა თავისი არსით წარმოადგენს არა ორგანიზაციას, არამედ დამოუკიდებელ ორგანიზაციათა გაერთიანებას საერთო მიზნის გარშემო. ამ დრომდე არასოდეს პლატფორმის მიზანი არ ყოფილა ორგანიზაციის ფორმით ოპერირება და ახალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციად ჩამოყალიბება.

საბჭოს წევრების მხრიდან გაზიარდა ინფორმაციები ინდივიდუალური შეხვედრების შესახებ, კერძოდ: მეხუთე ჯგუფის კოორდინატორი, ირინა ფუტკარაძე და მეორე ჯგუფის კოორდინატორი, ნინო ელიზბარაშვილი შეხვდნენ კოალიციის თანათავმჯდომარეს, უჩა ნანუაშვილს, ასევე გაიმართა პლატფორმის თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძისა და მესამე ჯგუფის კოორდინატორის, რეზო გეთიაშვილის შეხვედრა უჩა ნანუაშვილთან და ალეკო ცქიტიშვილთან. შეხვედრების მიზანს, ზემოთხსენებული წერილის შესახებ მსჯელობა წარმოადგენდა.
თანათავმჯდომარეების შეხვედრისას, ნინო ჩხობაძისა და რეზო გეთიაშვილის მხრიდან მოხდა შეთავაზება, რომ წესდების მონიტორინგის ჯგუფში უზრუნველყოფილი იყოს ძალთა დაბალანსებული რაოდენობით წარმოდგენა, ასევე საბჭოს შეხვედრების გახსნა პლატფორმის ყველა წევრისთვის, რაც ნიშნავს, რომ საკოორდინაციო საბჭოს დაგეგმილი შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გაზიარდება ყველა წევრ ორგანიზაციასთან და სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში, მათ შეეძლებათ ჩაერთონ საბჭოს შეხვედრაზე.

საბჭოს წევრები, ამ კომუნიკაციის საფუძველზე, დაელოდებიან კონკრეტულ პასუხებს წერილის ავტორი ორგანიზაციების მხრიდან. საბჭოს შეხვედრაში მონაწილე პირები თანხმდებიან, რომ მნიშვნელოვანია მოიძებნოს კონსესუსის მიღწევის საშუალებები. პირველი ჯგუფის კოორდინატორი, ლაშა ტუღუში, გამოხატავს მზადყოფნას დატოვოს კოორდინატორის პოზიცია. მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებას და პროცესების დასტაბილურებას. ამისთვის მნიშვნელოვანია პირისპირი, ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას ორგანიზება და საკითხებზე მსჯელობა, რათა მოხერხდეს კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღება.

დედაქალაქში შექმნილი ვითარება.

საბჭომ გამართა მსჯელობა დედაქალაქში შექმნილ ვითარებაზე, რომელიც უკავშირდება მასიურ მშენებლობებს, მოუწესრიგებელ და დაუსრულებელ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ასევე თბილისის ცენტრალური პარკის მშენებლობას. ის პრობლემები, რომელიც ახლა უდგას თბილისს, აღარ არის ლოკალური. საბჭოს წევრები შეთანხმდნენ,

რომ მომზადდება წერილი, თბილისის მერის სახელზე, სადაც გამოხატავენ მზაობას მასთან შეხვედრის და იმსჯელებენ ყველა პრობლემურ ვითარებაზე. ასევე, ამ შეხვედრაზე წარმოდგენილი უნდა იყვნენ პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, დაინტერესებს შემთხვევაში. მერიასთან დაგეგმილი შეხვედრის შესახებ დამატებითი ინფორმაცია გაზიარედება პლატფორმის წევრებთან, მას შემდეგ, რაც შედგება კომუნიკაცია ქალაქ თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა
შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე